1 მეცხრამეტე

რიგ. ჟ. XXVI კვირა [II] თ
წმ. თერეზა ყრმა იესოსი,
ქალწ. და მოძღ., †1897 (მ)

2012 მაზანდარი

იობ I,6-22; ფს I6; ლკ 9,46-50
მისიონერთა თვე

ვინც თქვენს შორის უმცირესია, ის არის დიდი ლკ 9,48

ბევრს სურს იყოს პირველი, დიდი, ყველასაგან პატივცემული. იესო გვასწავლის გზას: იყავი პატარა და ღმერთი იზრუნებს შენზე: იყავი ყველაფერზე დაბლა, ღმერთი ყურადღებით შემოგხედავს. მაშინ ხარ დიდი, როცა ღმერთი გაფასებს!

წმ. თერეზამ ყრმა იესოსი გაიარა ეს გზა და გახდა მოძღვარი. ვთხოვოთ დაგვეხმაროს გვიყვარდეს სიმცირე.

2 ოქტომბერი

წმ. მფარველ ანგელოსთა (მ) [ს]

2012 სუბბოტა

გამ. 23,20-23; ფს 90; მთ 18,1-5.10

მე წაგიმძღვარებ ანგელოზს შენს დასაცავად გამ 23,20

მამა ღმერთი განსაკუთრებული ყურადღებით ზრუნავს ყოველ ადამიანზე. მფარველი ანგელოსი ამ სიყვარულის გარანტი და ნიშანია. ვინც ამ ცოცხალ და სიყვარულით სავსე გვერდითყოფნაზე ყურადღებითაა, ხედავს მის ირგვლივ მცირე თუ დიდ ნიშნებს.

დღეს მადლობას ვწირავთ მამას ამ ძღვენისათვის!!!

იობ. 9,1-12.14-16; ფს 87; ლკ 9,57-62

შენ კი წადი და იქადაგე ღვთის სასუფეველი ლკ 9,60

იესო ამ პასუხობს აძლევს მისი გაყოლის მსურველთ. მათ არ უნდა იფიქრონ არაფერზე, არც იმაზე თუ რას იტყვიან მათი ნათესავები. რადგან მათაც სჭირდებათ ღვთის სასუფევლის უწყება!

4 ოქტომბერი

რიგ. ყ. XXVI კვირა [II] მწ

წმ. ფრანცისკ ასიზელი, †1226 (მ)

2012 ხუთშაბათი

გალ 6, 14-16; ფს 15; მთ 11, 25-30

მე მოგასვენებთ თქვენ მთ 11,28

მანუგეშებელია იესოს დანაპირები. იგი პირდება მათ ვინც, შევიწროებული და დაქანცული, მიმართავენ მას. უფლის შვება აღწევს სულის სიღრმეებს და დიდხანს მოქმედებს. წმ. ფრანცისკე ბევრს დაეხმარა, ნდობით მიემართათ იესოსთვის. ჩვენ არამხოლოდ შევნატრით მას, არამედ ვცდილობთ მივბაძოთ კიდეც უფლის სიყვარულში.

იობ. 38,1.12-21; 40,3-5; ფს 138; ლკ10,13-16

ვინც თქვენ მოგისმენთ, მეც მომისმენს ლკ 10,16

იესო ამგვარად ამხნევებს თავის მოწაფეებს. ისინი მუდამ მისი მხარდაჭერით არიან განმტკიცებულნი. მეც ვგრძნობ სიმხნევეს, ყური დავუგდო მათ, რომლებსაც იესო, როგორც თავის მახარობლებს გზავნის. არ უნდა გავყვე ჩემს გემოვნებას, არამედ სიტყვას, რომელიც მე მეძლევა იმ ხალხის მეშვეობით, რომლებიც ამ მი-წაზე უფალს წარმოადგენენ.

6 ოქტომბერი

რიგ. ყ. XXVI კვირა [II] მწ

წმ. ბრუნო, ბერი †1101

2012 პარასკევი

იობ. 42,1-3.5-6.12-17; ფს 118;ლკ 10,17-24

გიხაროდეთ, რომ თქვენი სახელები ცაშია ჩაწერილი ლკ 10,20

მადლობას გწირავ, იესო, დარწმუნებისათვის. შენ უკვე ნახე ჩვენი სახელები ჩაწერილი ღმერთის წიგნში. ის არ გვივიწყებს ჩვენ, პირიქით მას ყოველთვის ვახსოვართ. ჩვენს გულში დარდისთვის ადგილი აღარაა!

იონ 2,18-24; ფს 127; ებრ 2,9-11; მარ 10,2-16

საკვირველის ნეტარი ქალწული მარიამი — ახალციხის საკრებულოს დღესასწაული.

რაც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ გაყრის მათ მარ 10,9

როცა ჩემი მშობლები დაქორწინდნენ, საჩუქრად მიიღეს აბრეშუმის ტილოზე ამოქარგული ჯვარი შემდეგი წარწერით: „ზეცაში ვერავინ ავა, თუ ჯვრის გზა არ გაიარა“. დაქორწინებულების ჯვარი არ არის შორს, ისინი სხვადასხვა მომენტებში თვით არიან ჯვარი ერთმანეთისთვის. მათი ყურადღება უნდა მიეპყროს ღმერთის ნამოქმედარს და არა პირად დაკმაყოფილებას. ღვთის საქმე მათი ერთიანობაა, რომელიც უძვირფასესია მათი შვილებისა და მთელი საზოგადოებისათვის.

გალ 1,6-12; ფს 110; ლკ 10,25-37

დაინახა და შეიცოდა ლკ 10,33

იესო ყვება იგავს, რომელიც ყველას მოსწონს. სამარიელი მეორე ადგილზე გადადებს საკუთარ საქმეებს, ოღონდაც რომ სატანჯველში ჩავარდნილ ადამიანს უშველოს. რამდენი ადამიანი ბაძავს ამ ადამიანის სიკეთეს! და რამხელა ღრმა სიხარული ეძლევა მას, ვინც ძმისათვის გაწვალდა! ეს გაწვალება არის ღმერთის თანალმობაში მონაწილეობა და ამიტომ ტოვებს ჩვენში სისავსისა და საკუთარი არსების სრულყოფილობის შეგრძნებას. მოწყენილება, სევდიანობა კი მას ახასიათებს ვინც ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე.

გალ I,13-24; ფს I38; ლკI0,38-42

მამა პეტრე ხარისჭირაშვილის ხსენების დღე

მარიამი ისმენდა მის სიტყვას ლკ I0,39

ვიმყოფებით ბეთანიაში, იერუსალიმთან ახლოს, სადაც იესომ უნდა აღასრულოს თავისი ცხოვრების მსვერპლ-შეწირვა. ის, რომელმაც გააგებინა მოწაფეებს სიყვა-რული მოყვასისადმი, აჩვენებს რომ ყოველი მსახურება უნდა დაიბადოს ღვთის სიტყვის მოსმენიდან. მარიამი არ აჰყვება მართას საკეთებელ საქმეების მორევში, ვინაიდან მისთვის უფრო მნიშვნელოვანია იესოს მოსმენა: ეს მან

გალ 2,1-2.7-14; ფს 116; ლკ 11,1-4

მოვიდეს სუფევა შენი ლკ 11,2

შენი სასუფეველი, უფალო, იესო, ახალი პოლიტიკური სისტემაა! შენს სასუფეველში არ არიან მოხელეები, არიან მხოლოდ ძმები. შენს სასუფეველში არ არის პარტიები, მხოლოდ ერთადერთი სურვილია. აუწყო ყველას შენი სიყვარულის ნიშნები. შენს სასუფეველში არ არის გადასახადი, რადგან ყოველი თავის თავს უძღვნის ყველას სასიკეთოდ. მოვიდეს სუფევა შენი!

11 ოქტომბერი

რიგ. ჟ. XXVII კვირა [III] მწ

2012 ხუთშაბათი

გალ 3,1-5; საგ.: ლკ 1,69-75; ლკ 11,5-13

დარეკეთ და გაგეღებათ ლკ 11,9

იესო მოგვიწოდებს ვთხოვოთ მამას და დავაკაკუნოთ გულმოწყალებით აღსავსე მისი გულის კარზე. ეს უნდა გავაკეთოთ რწმენით, დარწმუნებულებმა, რომ მოგვისმენს და რომ მან ჩვენზე კარგად იცის თუ რა გვჭირდება ჩვენ. ჩვენი ლოცვა არასოდეს არ დაიკარგება.

რიგ. ჟ. XXVII კვირა [III] მწ

2012 ჯანმასპეჩი

გალ 3,7-14; ფს 110; ლკ 11,15-26

მართალი რწმენით იცოცხლებს გალ 3,9

წმ. პავლე გვიმეორებს წინასწარმეტყველ აბაკუმის სიტყვებს. მართალი, ანუ იგი, ვინც სათნოა ღმრთისათვის, ვინაიდან ასრულებს მის ნებას, იღებს სიცოცხლეს თავისი რწმენის წყალობით. რწმენა აუცილებელია იმისათვის, რომ განახორციელო სიყვარული, რომელიც გვამსგავსებს ჩვენს მამას. მივენდოთ ღმერთს, მოვუსმინოთ იესოს, რათა აღსრულდეს მისი ნება.

გალ 3,22-29; ფს 104; ლკ 11,27-28

თქვენ ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში გალ 3,28

მოვინათლეთ იესოს სახელით, ამიტომ მისი სიყვარული გვაერთიანებს ჩვენ ერთ სხეულად, ერთ მთლიან რეალობად გვაქცევს. როცა შენი რწმენა ცოცხალი ხდება და შენი სიყვარული იესოს მიმართ გარდაქმნის შენს გულს, მაშინ მიხვდები ამ სიტყვის ჭეშმარიტებას.

2012 ორშაბათი

სიბრ 7,7-11; ფს 89; ებრ 4,12-13; მარ 10,17-30

არავინ არის კეთილი, გარდა ერთი ღმერთისა მარ 10,18

მავანი მიმართავს იესოს და უწოდებს მას: „კეთილო მოძღვარო“. ქათინაურია? რაში ადგია უფალს ქათინაურები? სიტყვას „კეთილი“ დიდი ფასი აქვს, ზედსართავია მხოლოდ ღმერთს რომ უხდება. უწოდო იესოს „კეთილო“ ნიშნავს თქვა: ვიღებ ყოველ შენს სიტყვას, როგორც ღმერთის სიტყვას, მსურს დაგემორჩილო შენ, ისე, როგორც ემორჩილებიან ღმერთს. როცა ველაპარაკებით იესოს არ შეგვიძლია გამოვიყენოთ პირფერობა: იგი სერიოზულად იღებს ყოველ ჩვენს ნათქვამს.

15

2012

ოქტომბერი

რიგ. ყ. XXVIII კვირა [IV] თ
წმ. თერეზაავილელი, ქალწ., მოძ. †1582 (მ)
(2.X) წმმ. დავითი და კონსტანტინე

ოჩაბანში

გალ 4,22-24.26-27.31-5,1; ფს 112; ლკ 11,29-32

აქ არის იონაზე დიდი ლკ 11,32

იონა ნინევეს წარმართებისათვის მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას საკუთარი გულით არ მიუტანა მათდამი ღმერთის გულმოწყალება, ისინი მაინც ემორჩილებიან მას. იესო აწვდიდა ღმერთის გულმოწყალების ნიშნებს თავის თანამემამულეებს, მაგრამ ისინი მაინც არ ენდობოდნენ მას: წარმართებზე უარესები აღმოჩნდნენ. დღეს უფლის ნათქვამს მივაქცევ ყურადღებას.

16 ოქტომბერი

რიგ. კ. XXVIII კვირა [IV] მწ
წმ. იადვიგა, მონ. †1243;
წმ. მარგარიტა მარია ალაკოკ, ქალწ. †1690

2012 სუბბოტა

გალ 5,1-6; ფს 118; ლკ 11,37-41

გაეცით მოწყალება, რაც შიგნითაა ლკ 11,41

მოწყალების გაცემა ღმრთისათვის საათნო მოქმედებაა, თუკი ის სიყვარულის ნიშანია. იესო საყვედურობს ფარისევლებს, ყველა გარეგნული წესის ზედმიწევნით შემსრულებლებს, რომ არ შეუძლიათ იმავე სიყვარულით შეყვარება, რომლითაც ღმერთს უყვარს ყოველი ადამიანი, ცოდვილნიც და ისინიც, ვინც სრულად ვერ ასრულებენ რჯულისკანონს. ვიდრე გასცემდე რამეს, საჭიროა გასცე საკუთარი თავი!

17 ოქტომბერი

რიგ. ჟ. XXVIII კვირა [IV] წ

წმ. ეგნატე ანტიოქიელი, ეპ. და წამ.†115 (მ)

2012 ოთხშაბათი

გალ 5,18-25; ფს I; ლკ 11,42-46

სოლო სულის ნაყოფია სიყვარული გალ 5,22

როცა ღმრთის სული შემოდის ჩვენში, ჩვენ ვგრძნობთ ამას. იმ მომენტში ჩვენს გულში რაღაც იცვლება: ვიღებთ შეყვარების უნარს, ნებისმიერი ადამიანის შეყვარების, ნებისმიერ პირობებში, ღვთის სიყვარულით შეყვარების უნარს. ძალზე განსხვავდება, როცა სულიწმიდაა ჩვენშია, იმ წუთებისაგან, როცა სხვა სულები იკავებენ ჩვენს გულებს!

ოქტომბერი

წმ. ლუკა, მახარებელი, (დ) [ს] წ
(5.X) წმ. ღირსი გრიგოლ ხანძთელი; კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი

ხუთშაბათი

2 ტიმ 4,10-17; ფსალმ. 144; ლკ 10,1-9

ღვთის სასუფეველი მოგიახლოვდათ ლკ 10,9

ღმერთის სასუფეველი ახლოა მაშინ, როცა მეფეა ახლოს, ღმრთისაგან მოვლენილი, რათა ადამიანებს წარუძღვეს მისკენ გზაზე, რათა გააერთიანოს ისინი მშვიდობასა და თანაზიარებაში, აქციოს ერთ ერად. როცა, იესო, შენ ჩვენთან ხარ, ახლოა ღმერთის სასუფეველი!

19

ოქტომბერი

რიგ. ჟ. XXVIII კვირა [IV] მწ

წმმ. იოანე დე ბრებეფი და ისაკ ყოგი, ხუც. და მეგ., წამ., †XVII ს.; წმ. პავლე ჯვრისა, ხუც., †1775

2012

ჯანსაღები

ეფ 1,11-14; ფს 32; ლკ 12,1-7

ბევრ ბელურაზე უკეთესნი ხართ ლკ 12,7

გმადლობ უფალო, იესო ამ სიტყვისათვის, რომელიც მამხნევებს. შენი მამის თვალში ყოველ ჩვენგანს განსაკუთრებული ღირებულება აქვს: ჩვენ მოგვცა თავისი სიყვარული, ჩვენთვის მოგავლინა შენ, ჩვენთვის შენ ევნე და მოკვდი. მართლაც, მრავალ ბელურაზე უკეთესნი ვართ!

ეფ 1,15-23; ფს 8; ლკ 12,8-12

ნუ იზრუნებთ იმაზე... რა ილაპარაკოთ ლკ 12,11

მშვენიერი რჩევაა. ყოველთვის შეგვიძლია მშვიდობით ვიყოთ. მშვიდობა კი საუკეთესო მომზადებაა ადამიანთან შესახვედრად. ვიცოდი, რომ მეგობარს საყვედურის სათქმელად ჩემი ნახვა სურდა. მე მსურდა მომემზადებინა სიტყვები დასაცავად, მაგრამ მერე გადავიფიქრე: საუკეთესო დაცვა იესოს სიტყვაა, და მას არ სურს რომ მე მომზადებული ვიყო. ის შეხვედრა ნამდვილად კურთხეული იყოს უფლის მიერ.

ეს 53,2.3.10-11; ფს 32; ებრ. 4,14-16; მარ 10,35-45

ვისაც თქვენს შორის პირველობა სურს, ის იყოს ყველას მონა მარ 10,45

უპირველესი იგია, ვინც მეტადაა აღვსილი ღმერთის სიყვარულით. და ღმერთი იქ პოულობს ადგილს თავისი სიყვარულის გადმოსაღვრელად, სადაც უყვართ ისინი, ვინც მას გვანან, სადაც არ ფიქრობენ საკუთარ თავზე. ყველა სიხარულით მიმართავენ იმას, ვინც მზად არის მსახურებისათვის: ის ნამდვილად არის უპირველესი.

22 ოქტომბერი

რიგ. ჟ. XXIX კვირა [I] მწ

2012 ოჩამბარში

ეფ 2,1-10; ფს 99; ლკ 12,13-21

რაც დაიმზადე, ვილას დარჩება? ლკ 12,20

ის ვინც მოულოდნელად კვდება, განსაკუთრებით კი მდიდარი, ბევრ პრობლემას უტოვებს ნათესავებს. იგი ვერანაირ სარგებელს ვერ იღებს თავისი საკუთრებიდან. ღირს კი ფულისა და ქონების დაგროვება? განა უფრო სასარგებლო არ იქნება საკუთარი თავისთვისაც და ძვირფასი ახლობლებისთვისაც გულუხვი ადამიანის, საგნებზე არა მიჯაჭვული, უპოვართადმი ყურადღებიანი და ხორციელი თუ სულიერი ქველმოქმედების მაგალითის დატოვება?

23 ოქტომბერი

რიგ. ჟ. XXIX კვირა [I] მწ

წმ. იოანე კაპესტრანელი, ხუც. †1456

2012 საბბათი

ეფ 2,12-22; ფს 84; ლკ 12,35-38

ის არის ჩვენი მშვიდობა ეფ 2,14

წმიდა პავლე გვესაუბრება იესოზე. იგი შეყვარებულია მასზე, ამიტომაც დაუცხრომლად ეძებს გარემოებებს, რათა გაგვაცნოს იგი. ვისაც უყვარს იესო, აღარავის ხედავს მტრად, და ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იესო არის მშვიდობა, მშვიდობა ხალხებს შორის. სახელმწიფოებს შორის ზავები დიდხანს არ გრძელდება. არც ადამიანებს შორის, არც ოჯახებს შორის და არც ერებსა და ხალხებს შორის არ იქნება მშვიდობა, ვიდრე იესო არ დაისადგურებს გულებში

24 ოქტომბერი

რიგ. ჟ. XXIX კვირა [I] მწ

წმ. ანტონ მარია კლარეტი, ეპ. †1870

2012 ოთხშაბათი

ეფ 3,2-12; ეს 12,2-6; ლკ 12,39-48

ნ. ჯუზეპე ბალდო, წმ. იოსების პატარა ქალიშვილთა
კონგრეგაციის დამაარსებელი

თქვენც მზად იყავით ლკ 12,40

ყველაფრისთვის, რაც არ უნდა მოხდეს, უფალო, მზად ვართ. უსაფრთხოება არ მოდის ადამიანისგან და არც სტაბილური იქნება ის ამქვეყნად. ყოველთვის შეიძლება მოხდეს ისე, რომ ჩვენი გეგმები დაირღვეს, გვეწვიოს ტანჯვა, მოგვიწიოს თვალებში შევხედოთ სიკვდილს. ჩვენ შენ ჩაგეჭიდებით, ერთადერთს, ვისაც შეუძლია ჩვენი ამ მიწაზე გამხნევება. შენ ერთადერთი ხარ, ვისაც შეუძლია მიგვიღოს ახალ სამყაროში, სადაც გველიან.

ეფ 3,14-21; ფს 32; ლკ 12,49-53

ნათლობით უნდა მოვინათლო ლკ 12,50

იესო შენ იმ უდიდეს ჟამს ელი, რომელიც შენს ცხოვრებას შეცვლის: შენი მამასთან გადასვლის წუთია: ელი მას დიდი სიყვარულით, რადგან ჩვენი ხსნის ჟამი იქნება. შენი „ნათლისღება“ შენი სიყვარულით მიძღვნილი სიკვდილია, იმისათვის, რომ შემდეგ აღდგე და ჩვენც მოგვმადლო სიყვარული.

26 ოქტომბერი

რიგ. ჟ. XXIX კვირა [I] მწ

2012 ორშაბათი

ეფ 4,1-6; ფს 23; ლკ 12,54-59
მ. გაბრიელ ასლანიშვილის მოხსენიება († 1930)

ერთია ღმერთი და მამა ყოველთა ეფ 4,6

ის რომ არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი, ცხადია, თვით წარმართებსაც ასე მიაჩნიათ. ოღონდ ის, რომ ღმერთი მამაა, გვწამს მხოლოდ ჩვენ, რომლებმაც ვისმინეთ, შე-ვიყვარეთ და მივიღეთ იესო. ის, რომ ღმერთი მამაა, რო-მელსაც უყვარს ყველა, განურჩევლად საწუმუნოებისა, კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენია: არაქრისტიანი არ იღებს ამგვარ ღმერთს. ჩვენ ვიცით, რომ იესო მათთვი-საც მოკვდა და ისინიც დახსნილნი იქნებიან მხოლოდ იესოს წყალობით, იესოსი, რომელიც იმ მამის ძეა, რო-მელსაც მამას ვუწოდებთ!

ეფ 4,7-16; ფს 121; ლკ 13,1-9

მივიდა, რომ ზედ ნაყოფი მოეძებნა და ვერ იპოვა ლკ13,6

ლეღვის ხე არის სიმბოლო. თავის დროზე მისგან ტკბილ და ნოყიერ ნაყოფს ველით. ღმერთის ერს მართებს მიაწოდოს სამყაროს საყრდენი და საზრდო. ეკლესია სთავაზობს პასუხს იმას ვინც ეძებს საკუთარი ცხოვრების აზრს, დახმარებას იმას ვინც ეძებს ნუგეშს ტანჯვაში, ნათელს ვინც ეძებს ჭეშმარიტებას ესოდენ სიცრუეში. თუკი ჩვენ, ეკლესიის წევრნი დავრჩებით იესოში, ბევრ ნაყოფს გამოვიღებთ!

იერ 31,7-9; ფს 125;ებრ. 5,1-6; მარ 10,46-52
წმმ. სიმონი და იუდა მოციქულთა დღესასწაული
სოხუმის საკრებულოს დღესასწაული.

შედგა იესო და თქვა: „დაუძახეთ მას!“ მარ 10,49

ერთი მათხოვარი! იესო მოუხმობს მას არა იმიტომ, რომ იგი ბრმაა და უსახსრო, არამედ იმიტომ რომ აქვს სამაგალითო და, შეიძლება ითქვას, მისი მოწაფეების ურწმუნოების მამხილებელი რწმენა. მოწაფეებს ეშინიათ გაჰყვნენ იესოს, განკურნებული ბრმა კი შემართულად და სიხარულით მიჰყვება უფალს, რომელიც მიდის იერუსალემში, სადაც მას სიკვდილი ელის!

29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

რიგ. კ. XXX კვირა [II] მწ

2012 ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ეფ 4,32 - 5,8; ფს I; ლკ I3,I0-I7

იყავით მოწყალენი ეფ 4,32

იესომაც მისცა ეს ბრძანება თავისიანებს და დაამატა: „რო-გორც მამა თქვენი“. გულმოწყალება ღმერთის ჭეშმარი-ტი, ერთადერთი დახასიათებაა, იმ ღმერთისა, რომელსიც კაცთმოყვარეა. ვისაც სურს სათნო ეყოს ღმერთს, გააცნოს იგი სხვებს, ეზიაროს მის ნათელს, მართებს გულმოწყა-ლება. ვინც არაა გულმოწყალე, შორსაა ღმრთისგან, მაში-ნაც როცა თავის სიმართლეში დარწმუნებულია.

30 ოქტომბერი

რიგ. ჟ. XXX კვირა [II] მწ

2012 სუბბოტა

ეფ 5,21-33; ფს 127; ლკ 13,18-21

ის წააგავს მდოგვის მარცვალს ლკ 13,19

„ღვთის სასუფეველი ჰგავს...“ ამ მარცვალის ერთ-ერთი ნიშანია უხილავობა. იმდენად მცირეა, რომ მის დასანახად საჭიროა გამადიდებელი შუშა! ღვთის სასუფეველს ხედავ მაშინ, როცა გინდა დაინახო; ის არ გაიძულებს მის მიღებას და არც გაშინებს. თუკი მიიღებ მას, ის გარდაქმნის შენს ცხოვრებას და აქცევს ბევრისთვის კურთხევად.

31 ოქტომბერი

რიგ. ჟ. XXX კვირა [II] მწ

2012 ოთხშაბათი

ეფ 6,1-9; ფს 144; ლკ 13,22-30

პატივი ეცი შენს მამას და დედას ეფ 6,2

გმადლობ, მამაო შენი სიბრძნის ამ მითითებისათვის! დედ-მამა ჩვენი ცხოვრების ნაწილია. მათი საშუალებით ცხოვრება მოგვანიჭე. მათი პატივისცემა ნიშნავს შენი წესების აღსრულებას. ვინც ცხოვრობს შენი შუქით ნამდვილად პატივის სცემს საკუთარ მშობლებს!